MES 4 22 0001100210

16/09/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 02 სექტემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი/საბჭოს წევრი-მდივანი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის "ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამის "ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა" - პროგრამული განითარების კოორდინატორი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საოზოგადოების (GiZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, ექსპერტი/საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა) იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზღუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ბოტკოველი
ქეთევან ჭუჭულაშვილი
მამუკა ბურდული
ნინო ბეგლარაშვილი
ქეთევან ღვანიძე
ნინო ხაჩიძე
ირმა არსენაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ-სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
თეა ოსეფაშვილი - ხარისხის მართვის მანეჯერი
გიორგი აბაშიძე - იურისტი
გვანცა გურჩიანი - საქმისმწარმოებელი

შპს მარნეულის კოლეჯი
ნინო გომელაური - კოლეჯის აკადემიური დირექტორი
სოფიო გომელაური - დირექტორის მოადგილე,ადმინისტრირების დარგში
ანა კუჭუხიძე - აღმზრდელის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი
შორენა ავაგარდაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი
თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგანაც სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, საბჭოს თავმჯდომარემ მდივნის ფუნქციის შესრულება დაავალა ქრისტინა რზგოევას, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მარნეულის კოლეჯის "აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის "ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ქეთევან ბოტკოველს და სთხოვა წარედგინა საკითხი.

ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2022 წლის 1 ივნისის N568622 ბრძანების (ცვლილება შესულია 13/06/2022, N0634678 ბრძანებით), საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ბრძანების თანახმად, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 28, 29 და 30 ივლისს. ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა პრეზენტაციის ფარგლებში მიმოიხილა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილება და აღნიშნა, რომ პროფესიული კოლეჯი - ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ დაარსდა 2016 წელს და საჯარო/კერძო პარტნიორობის საუკეთესო მაგალითია, რამდენადაც სკოლა დაფუძნდა - ა(ა)იპ „საქართველოს სამთო გამყოლთა

ასოციაციის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ თანამშრომლობით. 2016 წლის 23 სექტემბერს სკოლამ მიიღო ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და ამავე წლის შემოდგომაზე გამოაცხადა მიღება სასწავლო პროგრამაზე. 2021 წლის 24 ნოემბერს საფრანგეთში საკურორტო ქალაქ შამონიში, „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია“ გახდა საერთაშორისო ფედერაციის წევრი და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დიპლომირებულმა 30 სამთო გამყოლმა მიიღო საერთაშორისო სამთო გამყოლის სტატუსი. საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის ინდუსტრიამ მიიღო ხარისხის ნიშანი და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სამთო გამყოლის სადიპლომო პროგრამამ მიიღო საერთაშორისო აღიარება, რაც გულისხმობს, რომ სათვგადასავლო ტურიზმის სკოლა შეძლებს მიიღოს სტუდენტები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან საერთაშორისო სადიპლომო პროგრამაზე - სამთო გამყოლი. საქართველოში დიპლომირებული სამთო გამყოლები შეძლებენ აწარმოონ საგამყოლო საქმიანობა IFMGA წევრ 25 ქვეყანაში. 2024 წელს წინასწარი განაცხადით, საქართველოში ჩატარდება IFMGA გენერალური ასამბლეა - სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციამ და სამთო გამყოლთა ასოციაციამ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკურ და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც მოიცავს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის საერთაშორისო ექსპერტიზით დახმარებას, ახალი პროგრამების შემუშავებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობების გახსნას ქართველი სტუდენტებისთვის. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა საფრანგეთის ალპინიზმის და თხილამურების ეროვნულ სკოლასთან (ENSA) თანამშრომლობით გეგმავს ახალი სათავგადასავლო პროფესიების განვითარებას, მათ შორის პარაგლაიდინგის მიმართულებით; სამთო გამყოლთა ასოციაციამ დაიწყო მეორე საერთაშორისო ორგანიზაციაში - მთის ლიდერთა საერთაშორისო კავშირში (UIMLA) გაწევრიანების პროცესი, რომლის ფარგლებშიც სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა დანერგავს საფეხმავლო გამყოლის კურსის საერთაშორისო სტანდარტს საქართველოში . ამ პროცესის პარტნიორები და თანამოაზრეები არიან - განათლების და მეცნიერების სამინისტრო და მთის კურორტების განვითარების კომპანია, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის თანადამფუძნებლები; განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების მიმართულების გუნდი და უნარების სააგენტო, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, შვეიცარიის და გერმანიის სამთო გამყოლთა ასოციაციები და მათი ექსპერტები, რომლებიც ჩართულნი არიან სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის საგანმათლებლო და საგამოცდო პროცესში.

პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულების მიმართ **5.1.1.1.** კომპონენტთან მიმართებით გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია. კერძოდ, ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ უზრუნველყოს უზურფრუქტის ხელშეკრულების ვადების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს N04/38 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 08.07.2022 – 31.12.2022 (4 თვე).
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა მისია, სადაც ნათლად ჩანს, რომ დაწესებულებას სწორად აქვს გააზრებული საკუთარი როლი საგანმანათლებლო სივრცეში და მიზნად ისახავს ტურიზმის მიმართულებით შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიცური კადრების მომზადების უზრუნველყოფას, ასევე პირის დასაქმების, საკუთარი ბიზნესის წამოწყების თუ თვითდასაქმების ხელშეწყობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ფუნქცია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და ის შემუშავებულია ა(ა)იპ - „სათვგადასავლო ტურიზმის სკოლის“ სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად. მისია მომზადდა გუნდური ძალისხმევითა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დადასტურდა წარმოდგენილი ოქმებითა და შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაციით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულება-ტურიზმი. სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გაიცა ორი განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:

1.1.1.2. სკოლა/კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებსაც, ამდენად, სასურველია, მისიაშიც აისახოს კოლეჯის საქმიანობა ამ მიმართულებითაც - ზრუნვა უწყვეტი განათლების დასანერგად.

2. სასურველია, მისიაში ჩანდეს პერსონალის განვითარების მიმართ დამოკიდებულებაც, რაც მათთვის მოტივაციის გამომწვევი იქნება.

პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის მხრიდან ყურადღება გამახვილდა დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულ დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებზე და ამ კუთხით, მათი მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

1.1.1.3. წარმოდგენილი ხედვა საკმაოდ კონკრეტულია და გამოარჩევს კოლეჯს სხვა პროფესიული სასწავლებლებისგან, რადგანაც სამთო გამყოლის საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამას ამჟამად მხოლოდ ეს დაწესებულება ახორციელებს, მაგრამ რამდენადაც ამ პროფესიას ეუფლებიან არა მარტო რეგიონის წარმომადგენლები, რაც დადასტურდა მოქმედი სტუდენტების საქმის შესწავლითაც, სასურველია ხედვაში მითითებულ სამიზნე ჯგუფებს, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად, დაემატოს ზოგადად ამ პროფესიით დაინტერესებული პირები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა ასევე, რომ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი პირების მიერ შესრულებული ამოცანები/აქტივობები თანხვედრაშია პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან/ფუნქციებთან. რაც შეეხება ფინანსურ რესურსს, ის გაწერილია საერთო ბიუჯეტში. ამ კუთხით ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია სამოქმედო გეგმაშიც აისახოს ფინანსური უზრუნველყოფა, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

1.2.1.3. 2021 -2022 ს/წლის სამოქმედო გეგმის ფინანსური რესურსი გაწერილია საერთო ბიუჯეტში (პროგრამული დაფინანსება, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები, მიზნობრივი გრანტი და ა.შ.). ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმაშიც გაიწეროს.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში შესრულების კრიტერიუმები ძირითადად სწორად არის ფორმულირებული და გაზომვადია, რაც კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში შესრულების ინდიკატორები საჭიროებს დახვეწას. კერძოდ, ინდიკატორებში არ ჩანს, დასახული ამოცანები რა ხარისხით არის შესრულებული. ამ მიზნით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია. კერძოდ:

1.2.1.3. სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს და დაიხვეწოს წარმოდგენილი ინდიკატორები.

ექსპერტი ქეთევან ჭუჭულაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა მესამე სტანდარტის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და ასევე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესსა და შინაგანაწესის დოკუმენტებში. ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და იძლევა მათი გამოყენების შესაძლებლობას, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით და დოკუმენტების გადამოწმებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი კარგად იცნობენ თავიანთ უფლებებს. საკითხის წარდგენისას ყურადღება ასევე გამახვილდა იმაზე, რომ დაწესებულებაში ჩარიცხვის შედეგების გასაჩივრების ფაქტები არ ვლინდება. დაწესებულებას არ აქვს მობილობის გამოცდილება. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯს არ ჰყავს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები.

ექსპერტმა ქეთევან ჭუჭულაშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმიერებული არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. როგორც აღინიშნა, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იცნობენ ზემოაღნიშნულ პროცედურას და იციან საკუთარი უფლებებიც. კოლეჯმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა შეფასების დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კოლეჯში არსებულ წესებს. იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონია შეფასების გასაჩივრების ან განმეორებითი შეფასების შემთხვევები.
რაც შეეხება კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებეულ ხელშეკრულებას, ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ექსპერტთათვის დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯში არ არსებობს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პრაქტიკა. ამ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია.
3.1.1.5. სასურველია, უფრო დეტალურად გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. კერძოდ, დამატებით მიეთითოს პროცედურის მონაწილე პირები, ვადები და პროცესში პროფესიული სტუდენტის ჩართულობის აუცილებლობა, ვინაიდან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი სწორედ პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვაა.

ექსპერტმა ქეთევან ჭუჭულაშვილმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ ვადებში ხორციელდება.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ კოლეჯში შემუშავებულია კითხვარები, რომლის მეშვეობითაც კოლეჯი რეგულარულად იკვლევს სტუდენტთა კმოყოფილებას, კერძოდ: 2021 წელს კოლეჯში ჩატარდა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების ორი კვლევა მატერიალური სახით. გამოკითხულ იქნა 28 რესპოდენტი. კვლევის კითხვარი მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ზოგადი ინფორმაცია, კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, მატერიალური, საინფორმოციო და ფინასური რესურსები. წარმოდგენილი შედეგებით ყველა მიმართულება შეფასდა დადებითად და კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია კვლევის ანგარიშები.
მოხსენების დასასრულს ექსპერტმა ქეთევან ჭუჭულაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებები დაცულია, კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა მეოთხე სტანდარტის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიზნებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია პოზიციებით. სტრუქტურით განსაზღვრულია იერარქია და ფუნქციური კავშირი. ამ კუთხით ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:
4.1.1.1. სასურველია, ყველა საშტატო პოზიციის აღწერილობაში გაჩნდეს პუნქტი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეცვლის ამა თუ იმ პოზიციაზე მყოფ პირს, მისი არ ყოფნის შემთხვევაში.
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები: პერსონალის მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი. დაწესებულების შინაგანაწესი შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან, არეგულირებს შრომითი ურთიერთობის, უსაფრთხოების პროცესებს, ასევე განსაზღვრავს მოტივაციისა და დისციპლინური წარმოების კორპორატიულ კულტურასთან

დაკავშირებულ საკითხებს. მასში ასევე გათვალისწინებულია დისკრიმინაციის აკრძალვის, გენდერული თანსწორობის და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის შესახებ რეგულაციები.

4.1.2.1. სკოლა/კოლეჯის შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რიგ შემთხვევაში არეგულირებს იდენტურ საკითხებს. მაგ: სამუშაოზე დაგვიანება, დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა, სამსახურში გამოუცხადებლობა და სხვა. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტებში საკითხების გამიჯვნასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სასწავლო წლის ბოლოს და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებასა და სკოლის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრას. ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ 2022 წელს ასევე განხორციელდა პერსონალის საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგადაც იდენტიფიცირებულია პერსონალის განვითარების საჭიროებები. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნიამ კითხვა დაუსვა ექსპერტს, თუ რომელ მეთოდოლოგიას იყენებენ პერსონალის შეფასებისას? ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა უპასუხა, რომ ხდება გამოკითხვებინროგორც სტუდენტების, ისე პერსონალის და ასევე დამკვიდრებულია დასწრების პრაქტიკაც. იქვე ნანა ყუფუნიამ დასვა კითხვა, თუ ძირითადად რა ტიპის საჭიროებებია გამოკვეთილი პერსონალთან მიმართებით და არის თუ არა ეს პოლიტიკის დოკუმენტში ასახული, რა მიმართულებით არის გასაძლიერებელი პერსონალის უნარები. ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ როგორც პერსონალის მართვის დოკუმენტიდან იკვეთება, პერსონალის უნარები გასაძლიერებელია ონლაინ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებით.

5.1.1.5. სკოლა/კოლეჯში შემუშავებულია და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შესაბამის უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. ექსპერტთა მიერ მას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ შეიმუშაოს სამუშაო გეგმა და ანგარიში წარადგინოს ყოველი წლის ბოლოს.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა ასევე ისაუბრა დაწესებულებაში მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ

5.1.1.7. სკოლა/კოლეჯში შემუშავებულია რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს შესყიდვებისა და ლოჯისტიკის მენეჯერი ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს თავად მენეჯერი, თუმცა დოკუმენტში მითითებულია ფინანსური მენეჯერი და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პოზიციები სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ დოკუმენტში ტექნიკური შეცდომაა დაშვებული. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ქეთევან ბოტკოველის მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექნიზმებით გათვალისწინებულია დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპები მატერიალური რესურსების შეფასების კუთხითაც. ამ მიზნით შემუშავებულია კითხვარის ფორმები, რომლითაც დგინდება რესურსების არსებობა, საკმარისობა და ეფექტურობა. მან აღნიშნა, რომ კოლეჯში ასევე ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის რეგულარული შეფასება, რომელსაც ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. როგორც ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, ფაქტობრივი

მდგომარეობის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობის სამივე სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები. დაწესებულებაში ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნები შენობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. შემუშავებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირია მედდა. ასევე დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებული და შეთანხმებულია შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, თუმცა ექსპერტთა მხრიდან ამ მიმართულებით გაიცა რეკომენდაცია
5.2.1.1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა (10) პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (სტუდენტები ძირითადად ველზე არიან გასულები) უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, რამდენადაც სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში 15 პირია, სასურველია დაემატოს რამდენიმე კომპიუტერი.
5.2.1.4. გასაუბრების შედეგებით ირკვევა, რომ კოლეჯი რეგულარულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, თუმცა მათ ვერ წარმოადგინეს მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შემუშავდეს IT ტექნიკის მონიტორინგის გეგმა და ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანგარიშგება განხორციელდეს მოხსენებითი ბარათებით.
5.2.3.1. ვებგვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო ინფორმაცია, თუმცა მასზე მუშაობა სირთულეებს ქმნის, აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მის განახლებასთან და სტრუქტურირებასთან დაკავშირებით.
5.2.3.2. ვებგვერდის დათვალიერების შედეგებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებულია მუშაობა ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაზე. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია დაჩქარდეს პროცესი.
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა მეორე სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ, სამთო-გამყოლის პროგრამაზე. მისი თქმით, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ასევე საუბარი იყო დაშვების წინაპირობებზეც, რაზეც ექსპერტმა ნანა ყუფუნიამ დასვა კითხვა, პროფესიული სტუდენტი ამ პროგრამის ფარგლებში რამდენად იძენს ალპინისტურ გამოცდილებას,რაზეც დარგის ექსპერტმა მამუკა ბურდულმა უპასუხა, რომ აუცილებელია პირებს ჰქონდეთ საბაზისო ალპინისტური გამოცდილება და შემდეგ სწავლების პროცესში ადიან უფრო მაღალ საფეხურზე.
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლას არ სჭირდება პრაქტიკის ობიექტები, თუმცა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია პროფესიულ კოლეჯთან „თეთნულდი“.
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა დაწესებულების ფოტომასალა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორცილებისთვის შერჩეულია 10 პირი, მათ შორის 1 ზოგადი მოდულის(ინგლისური ენა). ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა პერსონალის დატვირთვის ფურცლები და წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება როგორც მისი პირადი საქმით, ასევე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით არის საერთაშორისო სამთო გამყოლთა ასოციაციის წევრი, დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაბნეულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. კოლეჯს ამ საკითხთთან დაკავშირებით მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.
2.2.1.4. ცალკე დოკუმენტად გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, რაც გაუადვილებს მას მუშაობის პროცესს, ხოლო მონიტორინგის შემთხვევაში გაადვილდება მისი მუშობის შეფასება.
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დემინგის ციკლის შესაბამისად.
ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან, რამაც დაადასტურა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. მისი მხრიდან ასევე აღინიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და სკოლა ადექვატურად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. Covid პანდემიის პირობებში სკოლამ ეფექტურად მართა დისტანციური სწავლების პლატფორმა, განახორციელა ელექტრონული გამოკითხვა და ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებები.
როგორც ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. რაც შეეხება ვერიფიკაციას, ამ ეტაპამდე არ ჩატარებულა, რასაც დაწესებულება პანდემიის გამო შექმნილ სიტუაციას უკავშირებს.
ვერიფიკაცია სამი მიამრთულებით იგეგმება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულების ვერიფიკაცია.
დაწესებულების დირექტორმა და ხარისხის მართვის მენეჯერმა დადებითად შეაფასეს ავტორიზაციის პროცესი და მადლობა გადაუხადეს ამ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა 5.1. კომპონენტთან მიმართებით მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით და არ მიიჩნია მიზანშეწონილად მონიტორინგის ჩანიშვნა. მან მიმართა დაწესებულებას, როდესაც უზუფრუქტის ხელშეკრულება იქნება მზად, მიაწოდონ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საბჭო კი აღნიშნულს ცნობის სახით მიიღებს.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნიამ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ:429322985) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 23 სექტემბერი.

2. შპს მარნეულის კოლეჯის "აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა;

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ მიმართა ექსპერტს ნინო ბეგლარაშვილს, რომ წარედგინა საკითხი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბეგლარაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარადგინა საკითხი და აღნიშნა, რომ შპს მარნეულის კოლეჯმა წარმოადგინა განაცხადი აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდის თაობაზე. ამის საფუძველზე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 ივლისის N816306 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება#833242, 22.07.2022) შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი.
ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 29 ივლისს. ექსპერტმა ნინო ბეგლარაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა განაპირობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული პროგრამის მოთხოვნის მაღალმა მაჩვენებელმა. მონიტორინგის პროცესში კოლეჯის აკადემიურმა დირექტორმა, ნინო გომელაურმა განმარტა, რომ სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის დაწყების პარალელურად გაიზარდა მოთხოვნა საბავშვო ბაღების მხრიდან კვალიფიციურად მომზადებულ აღმზრდელებზე. დაწესებულებამ ამის შესახებ ინფორმაცია მიიღო საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებთან ზეპირი კომუნიკაციით. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, უშუალო მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მაღალი მოთხოვნაა, დაწესებულამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ამონაწერით. აღნიშნული დოკუმენტით დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად გამოცხადებულ 4 ადგილზე ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტის მომენტში უკვე რეგისტრირებული იყო 38 აპლიკანტი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბეგლარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური რესურსი. არც საუკეთესო გამოცდილება და არც ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა გაიცა რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია.
ნინო ბეგლარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით, კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა

ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. როგორც საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო.
2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით, კერძოდ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი (თითო მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი). დაწესებულების მიერ ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულებას პერსონალის მართვის წესით განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება ან სულ მცირე ორწლიანი სამუშაო გამოცდილება ან მასწავლებლად მუშაობის სულ მცირე ერთწლიანი გამოცდილება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლითა და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ან სამუშაო გამოცდილებით, ასევე, ზოგიერთ შემთხვევეაში დამატებით მიღებული სხვადასხვა სახის სერტიფიკატებითაც. მათ აქვთ სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სწავლების გამოცდილება. აღნიშნულზე დაყრდნობით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვლაიფიკაციო მოთხოვნები პერსონალის მართვის წესში, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობეიბ კი დეტალურად მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაშიც. როგორც მან აღნიშნა, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით, მის პირად საქმეში ინახება ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები ინკლუზიურ განათლებასა და სწავლების ეფექტურ მეთოდებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დაწყებითი კლასების სწავლების გამოცდილება ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში და 2019 წლის სექტემბრიდან პროგრამა „აღმზრდელის“ ზოგიერთი მოდულის განმახორცილებელია.

დარგის ექსპერტმა, ქეთევან ღვანიძემ ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ინტერვიუში აღნიშნავენ პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიულ

პასუხისმგებლობას, ორგანიზატორულ უნარებსა და მოდულური სწავლების გამოცდილებას პროგრამა „აღმზრდელის“ ფარგლებში. პროგრამის განმახორციელებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამის ხელმღვანელი რეგულარულად მართავს მათთან შეხვედრებს, ეხმარება მათ საორგანიზაციო თუ შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებითაც გამოიკვეთა, რომ მას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ამ მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის დამატება, რომელსაც ექნება დარგობრივი პრაქტიკული გამოცდილება/დარგობრივი განათლება, რათა ამჟამინდელ ხელმძღვანელთან ერთად განავითაროს პროგრამა.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერილაური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ან ელექტრონული ფორმატით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერში და ბიბლიოთეკაში არსებობს დისკების სახითაც. კოლეჯის ელექტრონული წიგნების ნაწილი, ასევე, ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რომელთა გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ დისკებით ან ამობეჭდონ ელექტრონულად არსებული სასწავლო მასალა. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ამ მიმართულებითაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია პროგრამის დანართში „მოდულებში გამოყენებული ლიტერატურის რეესტრი“ და კოლეჯი აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში, სრულად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებშიც.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო ბეგლარაშვილმა მოხსენების ფარგლებში **2.2.1.6** ქვეს ტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვასწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვასწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურებს, კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნი. პროგრამის თითოეულ მოდულს ახლავს რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ექსპერტმა ნინო ბეგლარაშვილა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, ასევე განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი.

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რომელსაც რენტაბელობის ზღვრის შესაბამისი შემოსავლები სრულად ფარავს. საერთო

ჯამში აღინიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტ ნინო ბეგლარაშვილს, როგორ ასაბუთებს დაწესებულება მოთხოვნას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, რამდენად მაღალია დასაქმების მაჩვენებელი აქტიური სტუდენტების და სტატუსშეჩერებულების რამდენია და ა.შ. მისი თქმით, ამ საკითხის მიმოხილვა საინტერესო იქნება რეგიონული სპეციფიკის ჭრილში, რადგან დიდ კვოტაზეა საუბარი.
ექსპერტმა ნინო ბეგლარაშვილმა აღნიშნა, რომ მთავარი დასაბუთება არის ის მოთხოვნა, რაც ვაკანსიების სახით იკვეთება. რაც შეეხება დასაქმების არეალს, მისი თქმით მოთხოვნა გაჩნდა დაწესებულების მხრიდან სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აპლიკანტების გაზრდილმა რაოდენობამ განაპირობა დაწესებულების მხრიდან განაცხადის შემოტანა დაჩქარებული წესით.

დაწესებულების ხარისხის მართვის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ატარებს დამსაქმებლისა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და სწორედ ამ კვლევებიდან გამოიკვეთა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყავს დარგში დაკავებული პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლება კი დაფუძნებულია დარგობრივი უნარების გამომუშავებაზე, მით უმეტეს, რომ სკოლამდელ აღზრდაში დარგობრივი კომპენტაციების მიმართ მუდმივად იცვლება მოთხოვნები და მისი კითხვა იყო, ამ უნარებს როგორ ავითარებს კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და კოლეჯში უკვე არსებობს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პიროვნება და მასთან გაფორმდება ხელშეკრულება თანახელმძღვანელობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი ნინო ველთაური მიესალმა დამსწრე საზოგაოდებას და დაუსვა კითხვა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. საბჭოს წევრის შეკითხვა ექსპერტებისთვის იყო შემდეგი: მოკვლევის პროცესში ჰქონდათ თუ არა მათ იმის შესაძლებლობა, რომ შეესწავლათ, თუ რამდენად არის სწავლის პროცესში უზრუნველყოფილი ის, რომ არაქართულენოვანი სტუდენტები ხარისხიანად მიყვნენ სწავლის პროცესს და სწავლების მეთოდიკა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ სწავლების შედეგებზე თანაბრად გავიდნენ როგორც არაქართულენოვანი, ისე ქართულენოვანი სტუდენტები, რაც შემდეგ შეფასების სისტემით დადასტურდება, ეს საკითხი თუ იყო მათი მხრიდან შესწავლილი მოკვლევის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ბეგლარიშვილმა აღნიშნა, რომ არაქართულენოვანი სტუდენტები, პროგრამის მიხედვით, ჯერ ენობრივი კომპეტენციის ჭრილში გადიან კონკრეტულ პროგრამას და შემდეგ გადმოდიან სასურველ პროგრამაზე. რაც შეეხება სწავლის პროცესს, დარგის ექსპერტი ინტერვიურების ფორმატში გაესაუბრა პროგრამის განმახორციელებლებს, ხოლო სტუდენტებთან მსგავსი გასაუბრება მათ არ ჰქონიათ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორცილებელმა პირებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს იმაზე, თუ რა მეთოდოლოგიით ახორცილებენ სწავლებას, ისაუბრეს ასევე

რესურსებზე, რომელსაც სწავლების პროცესში იყენებენ და ხაზს უსვამდნენ სტუდენტთა აქტიურ ჩართულობაზე, მათ შორის არაქართულენოვან სტუდენტებთან მიმართებითაც.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დასვა კითხვა, თუ გააჩნია დაწესებულებას მეთოდოლოგია ან მექანიზმი, რომ თუ აღმოაჩენს რომ სტუდენტი ვერ მიყვება სწავლის პროცესს ენის ბარიერის გამო და დიდია რისკი იმისა, რომ სტუდენტი ვერ გავა სწავლის შედეგზე, ამ შემთხვევაში რა მექანიზმი ირთვება.
საბჭოს წევრის ნინო ველთაურის კითხვას უპასუხა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების შერჩევა, მათთან ხდება სამოტივაციო გასაუბრება, სადაც ისეთ აპლიკანტებს, რომლებიც ენობრივ კომპეტენციას ვერ აკმაყოფილებენ, აძლევენ რეკომენდაციას, რომ უკეთ მოემზადონ აღნიშნულში და სთავაზობენ მათ ქართული ენის კურსებს, რომ ენობრივი კომპეტენცია გაიუმჯობესონ. პროგრამაზე შერჩევა კი ხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდის საფუძველზე.
საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა აღნიშნა, რომ დასაქმების სააგენტოს მარნეულიდან მიმართა აზერბაიჯანული წარმოშობის ქალბატონმა, რომელსაც აქვს ენობრივი ბარიერი და მინიმალურ დონეზეც კი ვერ საუბრობს ქართულ ენაზე. მათ ვერ შეძლეს ქალბატონთან კომუნიკაცია და დასჭირდათ ოჯახის დახმარება, რათა მასთან დაემყარებინათ კომუნიკაცია. მან აღნიშნა, რომ ქალბატონს სურდა დასაქმებულიყო ექთნის პოზიციაზე. მათ ის გადაამისამართეს მარნეულის ავერსის კლინიკაში, მაგრამ იქაც იდენტური მიზეზით, ვერ მოხდა მისი დასაქმება, თუმცა ექსპერტმა ნინო ველთაურმა საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ქალბატონს აქვს შპს მარნეულის კოლეჯის მიერ გაცემული დიპლომი, სპეციალობა - პრაქტიკოსი ექთანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წლების განმავლობაში კოლეჯი რუსულენოვან პროგრამებსაც ახორციელებდა, სადაც ასევე სწავლობდნენ აზერბაიჯანელი სტუდენტებიც, თუმცა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ქართულთან ერთად ქალბატონი ვერც რუსულ ენას ფლობს. ნინო ველთაურის თქმით, დიპლომი ახალი გაცემულია და მას შეუძლია დიპლომის ასლი წარუდგინოს საბჭოს. მან დასვა კითხვა, თუ როგორ შეძლო ქალბატონმა პრაქტიკოსი ექთნის კვალიფიკაციის მიღება. კოლეჯის წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, რომ შეისწავლოს აღნიშნული შემთხვევა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ საბჭოს ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ საკითხის მოკვლევა მოხდეს, ისინი მიმართავენ შუამდგომლობით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შემდგომი რეაგირებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნიამ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის "აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის

კოლეჯს (ს/კ: 234158498) დანართით განსაზღვრულ ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 62-ით **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 2 სექტემბერი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი მარიამ ქუჩულორია.

3. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში "ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ნინო ხაჩიძეს, რომ წარედგინა საკითხი.
ექსპერტი ნინო ხაჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 ივლისის N795274 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში ვიზიტის განხორციელება. მონიტორინგი განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის 2021 წლის 2 მარტის N218525 გადაწყვეტილებით შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, თუმცა საბჭოს შუამდგომლობით 2.2 კომპონენტში ჩაინიშნა მონიტორინგი, გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტის კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 22 ივლისს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.
დღის წესრიგის შესაბამისად, გასაუბრება მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება შეხვედრის ფარგლებში; ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია ძირითადი მიგნებების შესახებ.

ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტისას საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, წინა ვიზიტის ფარგლებში C სასწავლო გარემოში დაგეგმილი მოდულების განხორცილებისთვის საჭირო რესურსის ყველა სახე არ იყო წარმოდგენილი. მონიტორინგის მიზნით განხორცილებული ვიზიტისას წარმოდგენილი სასქონლო ზედნადებებით, ვიზუალური დათვალიერებითა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება მატერიალური რესურსის ფლობა/შესყიდვა. ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა ინვენტარის ფოტომასალა.

2.2.1.1. კომპონენტთან მიმართებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ცალკეული რესურსების შესყიდვა, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. შესყიდვის პროცესის დასრულების დრო არ აღემატება 6 თვეს. დაწესებულებას შესყიდული აქვს შესაბამისობის გეგმით გაწერილი რესურსები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ხაჩიძემ აღნიშან, რომ პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე სპეციალისტების მიერ, პერსონალის უმეტესობას აქვს ვეტერინარიის ან ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.
2.2.1.2. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური მიმართულებით დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად.
დაწესებულებამ ცვლილებები განახორციელა რეგულაციაში, რომელიც სრულად არ ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ მოხსენების ფარგლებში აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია **2.2.1.3.** კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პერსონალთან სახელშეკრულებო ურთიერთობები საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ მოდულური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს ხელშეკრულების ვადა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.
შემდგომი ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ თავიდან გააფორმა ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, თუმცა ის სრულად არ ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
2.2.1.4. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები, დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს პერსონალის დატვირთვის ოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.
დაწესებულების მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად არ ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
როგორც ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, წინა ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა 2.2.1.5 კომპონენტი, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა დაარეგულიროს ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური რესურსის განლაგება/საძიებო სისტემის სრულყოფა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნებს მათი მოკლე დროში მიკვლევადობა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ბეჭდური რესურსი განალაგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

2.2.1.7. კომპონენტთან მიმართებით - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში მითითებული რენტაბელური ზღვარის გათვალისწინებით მიღებული შემოსავლები ფარავს ამავე ბიუჯეტით განსაზრვრული პროგრამის განხორციელების ხარჯს, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამის კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით.

დაწესებულებამ თავიდან შეიმუშავა პროგრამის ბიუჯეტი, თუმცა ის არ ითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციას.
ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, მონიტორინგის პროცესში ხარვეზი არ დაფიქსირებულა, არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაცია, გაიცა მხოლოდ **განმავითარებელი რეკომენდაციები.**

2.2.1.1. კომპონენტთან მიამრთებით ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ: პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სასურველია, გასწორდეს მექანიკური ხარვეზები, სრულად გაიწეროს მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები და იმ ხელშეკრულებებს, რომლებსაც არ ახლავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაცია, დანართის სახით გაიწეროს მათზე ინფორმაცია.

2.2.1.1. და **2.2.1.3.** - დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს ინფორმაციას მატერიალურ რესურსებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ შეავსეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი, რომელსაც აქვს მატერიალურ რესურსებსა და მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, სასურველია პროგრამის დანართებად გაწერილი და დამტკიცებული ჰქონდეს ინფორმაცია მატერიალურ რესურსებსა და მოდულთა განმახორციელებლებზე.

ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ ადმინისტრაციულ პერსონალს შეუძლია შეითავსოს მასწავლებლის პოზიცია და მითითებული ჰქონდათ, რომ მას შეუძლია ლექციები ჩაატაროს 4-6 საათამდე.

აქედან გამომდინარე **2.2.1.2** კომპონენტთან მიმართებით გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** არ არის მიზანშეწონილი, ადმინისტრაციის პერსონალი დღეში ატარებდეს 6 საათამდე ლექციებს. სასურველია დაწესებულებამ ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად და ამასთანავე განსაზღვროს მათი არა დღიური, არამედ კვირეული საათობრივი დატვირთვა.

მოდული „ვეტერინარიული მეანობა და გინეკოლოგია“ არის 4 კრედიტიანი, ხოლო მასწავლებლის დატვირთვის სქემაში გაწერილია მხოლოდ 80 საათი, როდესაც სასწავლო გეგმით გაწერილია 100 საათი. შესაბამისად, სასურველია დატვირთვის სქემაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

2.2.1.3. კომპონენტთან მიმართებით, მიმდინარე წელს პროგრამის განმახორცილებლებთან თავიდან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები და დასაქმებულთა უფლებამოსილებაში განისაზღვრა მხოლოდ ვერიფიკაციის პროცესში მათი მონაწილეობა, თუმცა მოქმედ ხელშეკრულებაში კვლავ იკითხება სილაბუსების შემუშავების ვალდებულება, რაც კვლავაც არ არის თავსებადი პროგრამის განხორციელების მიზნებთან.

ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა განმახორციელებლის ხელშეკრულებები, ასევე პირად საქმეში დაცული დოკუმენტაცია და ხელშეკრულების შეფასების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება, თუმცა ამ ხელშეკრულებებში არ იკვეთება პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. გარდა ამისა, ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს ორ განმახორციელებელ პირს, აქედან გამომდინარე, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია. 2.2.1.4 კერძოდ, რეკომენდებულია დაწესებულებამ მინიმუმამდე დაიყვანოს ტექნიკური ხარვეზები, დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები და დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები.

ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაია აღნიშნულთან დაკავშირებით. 2.2.1.7 რეკომენდირებულია, კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის, შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით. მისი თქმით, აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ დაწესებულებას ჯგუფში 10 სტუდენტი ჰყავს გათვალისწინებული და 10 სტუდენტიდან არის ბიუჯეტი დათვლილი, როცა რენტაბელობის ზღვარი არის 8 პროფესიულის დონით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოდული „ვეტირინარიული მეანობა და გინეკოლოგია“ არის 4 კრედიტიანი, მაგრამ ორ მასწავლებელზეა გადანაწილებული. მან იქვე აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ კენჭისყრაზე დააყენა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის "ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯის (ს/კ: 238134425) "ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ 16:51 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი

პროგრამის სახელწოდება	სამთო გამყოლი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სათავგადასავლო ტურიზმში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1015
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	დუშეთის რაიონი, დაბა გუდაური
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

დანართი

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა #80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	62
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146